სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები და პასუხები

1. **ვის შეუძლია პროგრამაში მონაწილეობის მიღება?**

   სოციალური და ჰუმანიტარული კვლევების მიმართულებით კონკურსში გრანტის მოპოვების მიზნით, პროექტის წარდგენა შეუძლია საქართველოს მოქალაქე, ფიზიკურმა პირს, რომელსაც დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მიენიჭა საგრანტო პროექტის განხორციელების დაწყებამდე (2019 წლის იანვარი) ბოლო 7 წლის განმავლობაში, ხოლო უორდროპის კოლექციების კვლევების მიმართულებით - საქართველოს მოქალაქე, ფიზიკურმა პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

2. **რა ხანგრძლივობის შეიძლება იყოს პროექტი?**

   კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა არის 12 თვე.

3. ***რომელ მიმართულებას მოიცავს აღნიშნული კონკურსი?***

   კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება კვლევითი პროექტები ყველა სამეცნიერო მიმართულებაში, რომელიც ეხება საქართველოს: ანთროპოლოგია, სოციოლოგია, ეკონომიკა, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, ისტორია, ხელოვნება, რელიგია, საზოგადოება და კულტურა.

4. **შეიძლება გრანტის მაძიებელი (მ.შ. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი) მონაწილეობდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სხვა პროექტ(ებ)ში?**

   დიახ, შესაძლებელია.

5. **რამდენჯერ შეუძლია გრანტის მაძიებელს ზემოაღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება?**

   გრანტის მაძიებლობის შეზღუდვა არ არის, თუმცა მეცნიერს ერთ კონკურსში გრანტის მიღება შეუძლია მხოლოდ ერთხელ.

6. **რამდენი შეიძლება იყოს პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი?**

   30 000 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტი ლარში.

7. **როგორ უნდა ჩაიშალოს პროექტის ბიუჯეტი?**

   ა) მიწვეული მკვლევარის სტიპენდია - 20 000 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტი ლარში;
   ბ) პროექტის განხორციელების ადმინისტრაციული ხარჯი - 10 000 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტი ლარში, რომელიც ერიცხება ოქსფორდის უნივერსიტეტს კველევის განხორციელების ადმინისტრაციული მხარდაჭერისათვის.

8. **კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, როგორ ხდება დაფინანსების მიღება?**

გრანტის მოგების შემთხვევაში, გრანტის მიმღებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სტიპენდიის თანხის ჩარიცხვა ხდება გრანტის მიმღების მიზნობრივ ანგარიშზე, ხოლო ადმინისტარციული ხარჯებისათვის საჭირო თანხა ირიცხება ოქსფორდის უნივერსიტეტის ანგარიშზე;

9. **სტიპენდიის გამოყენება რა ხარჯებისთვის არის შესაძლებელი?**

სტიპენდია მიწვეულმა მკვლევარმა შესაძლოა გამოიყენოს ორმხრივი მგზავრობის ხარჯების (ერთი ორმხრივი ავიაბილეთი), ვიზის მოსაკრებელის, სამოგზაურო და ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯის, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში ადგილობრივი მგზავრობის ხარჯის (საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარჯების), კვლევითი პროექტის განხორციელებისას 12 თვის განმავლობაში საცხოვრებლის (ბინის, საერთო საცხოვრებლის ხარჯის) დაქირავების, საკვებისა და საგანმანათლებლო ლიტერატურის შეძენის ხარჯის ასანაზღაურებლად.

10. **რა ხარჯებს მოხმარდება ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩარიცხული გრანტი?**

ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩარიცხული ადმინისტრაციული ხარჯი მოხმარდება მიწვეული მკვლევარისათვის უნივერსიტეტის მასპინძელ დაწესებულებაში სამუშაო ადგილის გამოყოფისთვის, კვლევითი და საგანმანათლებლო რესურსების წვდომისთვის, უნივერსიტეტის მიერ შერჩეულ მენტორთან თანამშრომლობისთვის. აღნიშნული თანხის მონიტორინგს ფონდი არ ახორციელებს.

11. **რა ენაზე ხდება საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენა?**

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს განაცხადი ინგლისურ ენაზე:

12. **რა დოკუმენტების საჭირო კონკურსში მონაწილეობისათვის?**

საგრანტო დაფინანსების მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს:

1. კვლევითი პროექტი (არაუმეტეს1800 სიტყვა, MS WORD დოკუმენტი, შრიფტის ზომა 11, ინტერვალი - 1.15, ფონტი Times New Roman);
2. ავტობიოგრაფია (CV, PDF ფორმატში);
3. სამი რეკომენდატორის სია შემდეგი ინფორმაციის მითითებით: სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ. ფოსტის მისამართი).
4. აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთი PDF ფორმატში;
5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პირადობის მოწმობა/ საერთაშორისო პასპორტი) PDF ფორმატში.